ცდკა (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

გუშინ მოსკოვში, “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ წითელი არმიის ცენტრალური სახლისა და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. თბილისელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც უკანასკნელ მატჩებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, პირველი წუთებიდანვე დაიწყეს მოწინააღმდეგის შევიწროება, ისინი ენერგიულად უტევდნენ მოსკოველებს. თამაშის მეხუთე წუთზე დინამოელთა მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაცია ღოღობერიძემ გოლით დააგვირგვინა. 1:0 სტუმრების სასარგებლოდ. პირველ დამარცხებას მასპინძლებმა კონტრიერიშით უპასუხეს და რამდენიმე წუთში ანგარიში გაათანაბრეს.

პირველი ტაიმი ფრედ (1:1) დამთავრდა.

მეორე ტაიმის პირველ წუთებიდანვე ცდკა–ს ფეხბურთელები ენერგიას არ ზოგავენ ანგარიშის გასადიდებლად. შედეგსაც აღწევენ – მეკარე სანაიას შეცდომით სარგებლობენ და მეორე ბურთი გააქვთ. რამდენიმე წუთში მას მოჰყვა მესამეც.

თბილისელებს გამოცოცხლება დაეტყოთ. მეთხუთმეტე წუთზე მეკარე სანაია, რომელიც ამ დღეს სუსტად თამაშობდა, შუდრამ შეცვალა. ის თავიდანვე აქტიურად ჩაება თამაშში, მოიგერია რამდენიმე “მკვდარი” ბურთი. თამაში თანდათან დაძაბულ ხასიათს ღებულობს, აშკარად იგრძნობა დინამოელთა უპირატესობა. ისინი ცდილობენ საპასუხო ბურთების გატანას და რევანშის აღებას, მაგრამ ამაოდ – პაიჭაძემ და ჯეჯელავამ ბურთების გატანის მრავალი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან.

ამრიგად, საინტერესო და დაძაბული თამაში თბილისელ ფეხბურთელთა დამარცხებით (1:3) დამთავრდა.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 15 სექტემბერი 1945 წ.